საქართველოს კომუნისტური პარტიის XXIII ყრილობის დელეგატთა საყურადღებოდ

საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტი იუწყება, რომ

საქართველოს კომპარტიის XXIII ყრილობა გაიხსნება 1966 წლის 2 მარტს დილის 10 საათზე

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს სხდომათა დარბაზში (საქართველოს სსრ მთავრობის სახლი).

ყრილობის დელეგატთა რეგისტრაცია იწარმოებს 1966 წლის 27 თებერვლიდან ყოველდღიურად 9 საათიდან 20 საათამდე საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის შენობაში (შიო ჩიტაძის ქუჩა № 2).

ტელეფონები: 3-00-47, 3-03-21, 3-03-51.

საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტი.

პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოსა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს ორგანო

КОМУНИСТИ — ОРГАН ЦК КП ГРУЗИИ, ВЕРХОВНОГО СОВЕТА ГРУЗИНСКОЙ ССР И СОВЕТА МИНИСТРОВ ГРУЗИНСКОЙ ССР

გამოდის 46-ე წელი. № 49 (13443) | სამშაბათი, 1 მარტი, 1966 წ. | ფასი 2 კაპ.

მეცნიერები მსჯელობენ

საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის წლიური კრება

26 თებერვალს გაიმართა საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის წლიური საერთო კრება, რომელიც შესავალი სიტყვით გახსნა საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდენტმა აკადემიკოსმა **ნ. ი. მუსხელიშვილმა.**

საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის 1965 წლის საქმიანობის შესახებ საანგარიშო მოხსენება გააკეთა აკადემიის მთავარმა სწავლულმა მდივანმა, რესპუბლიკის მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსმა **ს. ვ. დურმიშიძემ.**

მოხსენების განხილვაში მონაწილეობა მიიღეს დედამიწის შემსწავლელ მეცნიერებათა განყოფილების აკადემიკოს-მდივანმა რესპუბლიკის მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსმა **თ. ფ. დავითაიამ,** მათემატიკისა და ფიზიკის განყოფილების აკადემიკოს-მდივანმა, რესპუბლიკის მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსმა **ვ. დ. კუპრაძემ,** არაორგანული ქიმიისა და ელექტროქიმიის ინსტიტუტის დირექტორმა, რესპუბლიკის მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტმა **ნ. ა. ლანდიამ,** საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსმა **ვ. ტ. თოფურიამ,** ეკონომიკისა და სამართლის ინსტიტუტის დირექტორმა, საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტმა **პ. ბ. გუგუშვილმა,** საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსმა **კ. ხ. გამსახურდიამ,** ფიზიკის ინსტიტუტის დირექტორმა, საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსმა **ე. ლ. ანდრონიკაშვილმა.**

კრებაზე მოხსენებები გააკეთეს აგრეთვე რესპუბლიკის მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსებმა **კ. ს. ზავრიევმა** და **გ. ვ. წერეთელმა.**

კრებამ განიხილა აგრეთვე ორგანიზაციული საკითხები.

დეპეშების გაცვლა

სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარემ ა. ნ. კოსიგინმა ავღანეთის პრემიერ-მინისტრს ბატონ მუჰამედ ჰაშიმ მეივანდვალს გაუგზავნა დეპეშა, რომელშიც საბჭოთა მთავრობისა და პირადად თავისი სახელით მიულოცა პრემიერ-მინისტრს, ავღანეთის მეფის მთავრობას და მეგობარ ავღანელ ხალხს სსრ კავშირისა და ავღანეთის მეგობრობის ხელშეკრულების დადების 45 წლისთავი.

დეპეშაში ნათქვამია, რომ საბჭოთა კავშირ-ავღანეთის 1921 წლის ხელშეკრულება, რომელსაც საფუძვლად უდევს მშვიდობის, თანასწორუფლებიანობის, ურთიერთპატივისცემისა და ნდობის, საშინაო საქმეებში ჩაურევლობისა და მშვიდობიანი თანაარსებობის პრინციპები, ემსახურება ორივე მეზობელი ქვეყნის მეგობრული თანაშრომლობის განვითარების საქმეს, აზიის ხალხთა მშვიდობისა და ეროვნული განთავისუფლების განმტკიცებას.

ავღანეთის პრემიერ-მინისტრმა თავის დეპეშაში აღნიშნა ამ ისტორიული ხელშეკრულების დიდი ღირებულება. მან იმედი გამოთქვა, რომ ავღანეთისა და საბჭოთა კავშირის მეგობრობა, რომელიც ეფექტიანად უწყობს ხელს ამ რაიონის მშვიდობის განმტკიცებას, სიმშვიდესა და აუვავებას და მთელი მსოფლიოს მშვიდობას, კვლავ განმტკიცდება და განვითარდება. (საკდესი).

ინდოეთის მთავრობის მადლობა

ტაშკენტი, 26 თებერვალი. (საკდესი). ინდოეთის მთავრობამ მადლობა გადაუხადა უზბეკეთის მთავრობასა და ხალხს ლალ ბაჰადურ შასტრის სახელის უკვდავყოფისათვის. ეს ნათქვამია ინდოეთის პრემიერ-მინისტრის ინდირა განდის წერილში, რომელიც იმასთან დაკავშირებით გამოგზავნა, რომ ტაშკენტის ერთ-ერთ ქუჩას შასტრის სახელი ეწოდა. უნდა დაიდგას ობელისკი და მემორიალური დაფით შეიმკოს შენობა, სადაც ხელი მოაწერეს ტაშკენტის დეკლარაციას.

ტაშკენტს განსაკუთრებული ადგილი უჭირავს ჩვენს გულში და მჭიდროდ დაკავშირებულია მოგონებებთან შასტრის მოღვაწეობის შესახებ, აღნიშნულია წერილში. ვიცით, თუ რარიგ ასიამოვნა ლალ ბაჰადურ შასტრი მეგობრობისა და პატივისცემის გრძნობამ, რაც ტაშკენტის მცხოვრებლებმა გამოიჩინეს მისი ხანმოკლე ყოფნის დროს.

ინდოეთის მთავრობისა და ხალხის სახელით, აგრეთვე პირადად თავისი სახელით ინდირა განდიმ მადლობა გადაუხადა უზბეკეთის მთავრობასა და ხალხს მიღებული გადაწყვეტილებისათვის. „მადლობელი ვართ ჩვენი განსაკენებული ლიდერისადმი პატივისცემის ახალი დემონსტრაციით“, ნათქვამია წერილში.

საქართველოს კომპარტიის ყრილობის წინ

შრომითი ნოგათი

მაღაროელთა ახალი გამარჯვება

ჭიათურა. (საკ. კორ.). წინასაყრილობო სოციალისტური შეჯიბრების ინიციატორებში ახალი შრომითი ალმავლობა გამოიწვია სკკპ XXIII ყრილობის დირექტივების პროექტმა ახალი ხუთწლიანი გეგმის შესახებ. მაღაროელები არა მარტო ეცნობიან დიადი ხუთწლედის პროგრამას, არამედ კონკრეტული საქმეებით უპასუხებენ პარტიის წინასწარდასახულობებს.

ლენინის ორდენოსანმა მარგანეცის ტრესტის კოლექტივმა 23 თებერვლისათვის შეასრულა სასაქონლო მარგანეცისა და მაღალი ხარისხის კონცენტრატების დამზადების ხუთწლედის პირველი წლის იანვარ-თებერვლის დავალება და მეტალურგიულ ქარხნებს უკვე გაუგზავნა ეშელონებით მარგანეცი.

ორი თვის გეგმის გადამეტებით მაღაროელებმა სამშობლოს მისცეს 15.000 ტონა მარგანეცი.

მ. დმიტრიევის ბრიგადის წარმატება

ბათუმი. (საკ. კორ.). წინასაყრილობო შრომითის ვახტზე დიდი წარმატებები მოიპოვა ბათუმის თევზკომბინატმა. ზღვაზე თევზჭერისათვის სასურველი ამინდი დგას. თავის სიუხვეს არც ზღვა იშურებს, ყველა სეინერი დიდი ნადავლით დატვირთული ბრუნდება ბაზაში.

განსაკუთრებული წარმატება მოიპოვა კაპიტან-ბრიგადირის მ. დმიტრიევის სეინერის ეკიპაჟმა. უკვე 3 ათას ცენტნერზე მეტი თევზი დაიჭირა და პირველი კვარტალის გეგმა გაანაღდა.

სხვა ბრიგადების წარმატებითმა რეწვამ უზრუნველყო ის, რომ თევზკომბინატს მარტო იანვრის გეგმა შესრულებული აქვს 200 პროცენტით.

სახელოვანმა ბათუმელმა მეგადურებმა ვალდებულება იკისრეს საქართველოს კპ XXIII ყრილობის ეახსნის დღისათვის შეასრულონ პირველი კვარტალის დავალება.

ხუთწლედის პროპაგანდას — ფრთეები, სიღრმე

პარტიის გეგმები ხალხის გეგმებია! — ასე ამბობს ჩვენი ქვეყნის მილიონობით მშრომელი ახალი ხუთწლედის წინასწარდასახულობებზე.

მშობლიური კომუნისტური პარტიის XXIII ყრილობის დირექტივების პროექტი სსრ კავშირის სახალხო მეურნეობის განვითარების **1966-1970** წლების ხუთწლიანი გეგმის შესახებ ჭეშმარიტად ხალხისათვის უანგარო ზრუნვის ნათელი გამოხატულებაა. პარტიის ბრძნული შთანაფიქრის განხორციელება უზრუნველყოფს საბჭოთა საზოგადოების წინსვლას კომუნისტური მშენებლობის გზით, ქვეყნის ეკონომიური და თავდაცვითი ძლიერების განმტკიცებას, ადამიანთა მატერიალური კეთილდღეობის მნიშვნელოვნად გაუმჯობესებას.

სწორედ ამიტომ არის, რომ ეს უმნიშვნელოვანესი დოკუმენტი პირველი სტრიქონებიდანვე ღრმად სწვდება თვითეული მშრომელის გულსა და გონებას. ჩვენი რესპუბლიკის მუშები, კოლმეურნეები, მეცნიერები, კულტურის, ლიტერატურისა და ხელოვნების მუშაკები, ისევე როგორც მთელი საბჭოთა ქვეყნის მილიონობით მშრომელი, დიდი ინტერესით ეცნობიან დირექტივების პროექტს ახალი ხუთწლედის შესახებ და მზად არიან — არ დაიშურონ ძალა და ენერგია, რომ ხორცი შეასხან მას.

პარტია მუდამ ეთათბირებოდა ხალხს პარტიის პოლიტიკის, სამეურნეო და კულტურული მშენებლობის დიდმნიშვნელოვან საკითხებზე, მზრუნველობით ეკიდებოდა და ითვალისწინებდა ყოველ საყურადღებო შენიშვნასა და წინადადებას. და აი ახლაც დირექტივების პროექტი ხუთწლიანი გეგმის შესახებ გამოტანილია ფართო განხილვისათვის.

ჩვენი რესპუბლიკის პარტიული ორგანიზაციების საბრძოლო ამოცანა ამჟამად ის არის, რომ სკკპ XXIII ყრილობის დირექტივების პროექტის შესწავლა ყველგან მოეწყოს მაღალ დონეზე. ისინი ყოველმხრივ უნდა დაეხმარონ თვითეულ მუშას, კოლმეურნეს, მოსამსახურეს ღრმად ჩასწვდეს ამ დოკუმენტის არსს, სწორად ესმოდეს, თუ როგორი უნდა იყოს თვითეული მათგანის შრომითი წვლილი.

ეს ამოცანა რომ წარმატებით გადაწყდეს, საჭიროა გონივრულად გამოვიყენოთ მასობრივ-პოლიტიკური და პროპაგანდისტული მუშაობის მდიდარი არსენალი. მაგრამ პარტიული ორგანიზაციების პროპაგანდისტულ მუშაობაში მთავარი როდია, რომ დაგეგმონ მხოლოდ საუბრების ან ლექციების რაოდენობა. საქმის თავი და თავი ის არის, რომ ყოველმხრივ აამაღლონ პროპაგანდის ხარისხი, უზრუნველყონ მისი მიზანსწრაფულობა და ქმედითობა.

სწორედ ამიტომ საჭიროა ხუთწლედის გეგმების ახსნა-განმარტებისათვის მოვიზიდოთ ყველაზე კვალიფიციური ძალები — ხელმძღვანელი პარტიული, სამეურნეო, პროფკავშირული, კომკავშირული მუშაკები, მეცნიერები და სპეციალისტები.

ხუთწლედის გეგმების ახსნა-განმარტება ყველგან ისე უნდა მოეწყოს, რომ იგი ღრმად დაუკავშირდეს ცხოვრებას, მშრომელთა კოლექტივების ამოცანებს. ყოველ საუბარში, სხვა პროპაგანდისტულ ღონისძიებებში ხაზგასმით უნდა აღინიშნოს, რომ ხუთწლედის დავალებათა წარმატებით შესრულება უშუალო კეთილსასურველ გავლენას მოახდენს თვითეული საბჭოთა ადამიანის, საბჭოთა ოჯახის ცხოვრების დონეზე.

პირველადმა პარტიულმა ორგანიზაციებმა მთელი ახსნა-განმარტებითი მუშაობა სკკპ XXIII ყრილობის დირექტივების პროექტის ირგვლივ უნდა ააგონ თავიანთი საწარმოს, მეურნეობის, დაწესებულების სპეციფიკისა და კოლექტივის ინტერესების გათვალისწინებით. საჭიროა, რომ ამა თუ იმ დარგის განვითარების საერთო ამოცანა, რაც გათვალისწინებულია პროექტში, მჭიდროდ დაუკავშირდეს მშრომელთა ცალკეული კოლექტივების კონკრეტულ საქმეებს. საფუძვლიანად უნდა იქნას განმარტებული, თუ რა არის საჭირო, ან რა ნაკლოვანებათა აღმოფხვრაა აუცილებელი, რა რეზერვები უნდა ამოქმედონ საერთო ამოცანის გადასაწყვეტად. განხილვის მიზანი ის არის, რომ ფრთა შეესხას მასების შემოქმედებითს ინიციატივას, წამოიჭრას ახალ-ახალი ძვირფასი წინადადებანი, მძლავრი ბიძგი მიეცეს ადამიანებს მამაცური შრომითი ძიებისაკენ. **და ხუთწლედი ხომ მთელი საბჭოთა ხალხის, მისი ინიციატივის, გონებისა და ნებისყოფის ცოცხალი საქმეა!**

ხუთწლედის წინასწარდასახულობათა ფართოდ განხილვისა და განმარტებისათვის პარტიული ორგანიზაციებს ბევრი საკადი ფორმა და მეთოდი აქვთ. კვლავაც უნარიანად უნდა გამოვიყენოთ საუბრები, ლექციები, მოხსენებები, თეორიული და ეკონომიური კონფერენციები, კითხვა-პასუხის საღამოები. საჭიროა უფრო გავაქტიუროთ ლექტორიუმების, აგიტპუნქტებისა და აგიტკოლექტივების, კლუბების, ბიბლიოთეკების, წითელი კუთხეების საქმიანობა. განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს საგაზეთო და პროპაგანდისტულ მუშაობას მოსახლეობის საცხოვრებელი ადგილის მიხედვით. ყოველი საწარმოს, მშენებლობის, კოლმეურნეობისა და საბჭოთა მეურნეობის, დაწესებულების მშრომელთა კრებებზე, სადაც განიხილავენ ხუთწლედის გეგმებს, მიღწეულ უნდა იქნას ადამიანთა მაღალი აქტივობა.

იმ მიზნით, რომ ხუთწლედის ამოცანების პროპაგანდა ღრმად და მიზანსწრაფულად წარიმართოს, დიდი მნიშვნელობა აქვს პროპაგანდისტების, აგიტატორების, ლექტორ-მომხსენებელთა სემინარების მოწყობას. ამ მხრივ უკვე ბევრგან პრაქტიკული ნაბიჯები გადაიდგა. პარტიის თბილისის საქალაქო კომიტეტის ლექტორთა ჯგუფმა შეიმუშავა დირექტივების პროექტის ირგვლივ ლექციების ციკლის ჩატარების გეგმა უშუალოდ საწარმოებსა და დაწესებულებებში. მსგავსი ღონისძიებანი განახორციელეს სხვა მთელმა რიგმა პარტიულმა კომიტეტებმა.

ამ დღეებში, პირველადი პარტიული ორგანიზაციების ღია კრებები, პარტიული აქტივის რაიონული და საქალაქო კრებები, საოლქო კომიტეტების პლენუმები განიხილავენ სკკპ XXIII ყრილობის დირექტივების პროექტს. ეს განხილვა ისე უნდა მოეწყოს, რომ კიდევ უფრო ამაღლდეს თვითეული პარტიული ორგანიზაციის, თვითეული კომუნისტის, ყველა მშრომელის პასუხისმგებლობა იმ ამოცანების წარმატებით გადაწყვეტისათვის, რასაც პარტია ამ ახალ ხუთწლედში ისახავს.

პარტიის XXIII ყრილობის დირექტივების პროექტი **1966-1970** წლების ხუთწლიანი გეგმის შესახებ ხალხის განსახილველად რომ გამოაქვს, სკკპ ცენტრალური კომიტეტი პარტიული ორგანიზაციების ყურადღებას მიიპყრობს ნაკლოვანებების გაბედულად მხილების აუცილებლობას. ააგიტაციო-პროპაგანდისტულ მუშაობაშიც არ შეიძლება გვერდი ავუაროთ მწვავე საკითხებს, ნაკლოვანებებსა და ხარვეზებს. საჭიროა ადამიანთა ყურადღება გავამახვილოთ ამ ნაკლოვანებათა აღმოფხვრაზე, დავნერგოთ შეურიგებლობა ყოველგვარი ტრაბახის, თვითდამშვიდების, უწყვეტრივი შეზღუდულობისა და ბიუროკრატიზმის გამოვლინებისადმი.

ხვალ მუშაობას იწყებს საქართველოს კომპარტიის XXIII ყრილობა. ერთი თვის შემდეგ კი მუშაობას შეუდგება სკკპ XXIII ყრილობა. რესპუბლიკის პარტიული ორგანიზაციების, კომუნისტების საბრძოლო ამოცანა კიდევ უფრო აამაღლონ პოლიტიკური და ორგანიზატორული მოღვაწეობის დონე, რაც მიმართული უნდა იყოს იმისაკენ, რომ თვითეულმა მშრომელმა სწორად მოძებნოს თავისი ადგილი პარტიის გეგმების განხორციელებისათვის ბრძოლის ხაზზე. მიზნის სიცხადე, საბრძოლო ამოცანებში ნათლად გარკვევა კი აამაღლებს ადამიანთა შემოქმედებასა და ინიციატივას, ახალ სახელოვან ფურცლებს ჩაწერს კომუნისტური მშენებლობის დიდ წიგნში.

ᲧᲠᲘᲚᲝᲑᲘᲡ ᲓᲔᲚᲔᲒᲐᲢᲔᲑᲘ

პროფტექნიკური სასწავლებლის დამთავრებისთანავე ეთერ სოლომონიამ 15 წლის წინათ თბილისის აბრეშუმსაქსოვ ფაბრიკაში დაიწყო მქსოველად მუშაობა. გამოცდილ ფეიქართა დახმარებით მალე მოწინავეთა რიგებში ჩადგა. ამჟამად იგი ექვს საქსოვ დაზგას ემსახურება, ყოველდღიურ საწარმოო დავალებას 25-30 პროცენტის გადაჭარბებით ასრულებს და მხოლოდ მაღალხარისხოვან პროდუქციას უშვებს.

სოციალისტური შრომის გმირი ეთერ სოლომონია შრომას კარგად უთავსებს სწავლასაც. იგი საქართველოს ვ. ი. ლენინის სახელობის პოლიტექნიკური ინსტიტუტის მუშაჯერ მრეწველობის ფაკულტეტის დაუსწრებელი განყოფილების მეოთხე კურსის სტუდენტია.

ჭიათურაში კარგად იცნობენ ღრმა შპურებით ბურღვის ნოვატორს, ახალი ითვისის მაღაროს კომუნისტური შრომის დამკვრელს, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დეპუტატს, ნოვატორ მაღაროელს გიორგი ბაქრაძეს, რომლის ყოველდღიური საწარმოო მაჩვენებელი 200-220 პროცენტია.

სურათებზე: საქართველოს კომპარტიის XXIII ყრილობის დელეგატები ე. სოლომონია (მარცხნივ) და გ. ბაქრაძე.

ტექსტი და ფოტო შ. ჩხეტიანისა.

მოგილოცავთ, მეგობრებო!

ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

საქართველოს სსრ სპეციალიზებული ნოლებების მინიჭების შესახებ

ქართული საბჭოთა ხელოვნების განვითარებაში დამსახურებისათვის მიენიჭოთ საპატიო წოდება:

საქართველოს სსრ სახალხო არტისტისა:

1. **აბულაძეს** თენგიზ ეგნატეს-ძეს — კინორეჟისორს.
2. **ბელოუსოვას** თამარ ვასილის ასულს — ა. გრიბოედოვის სახელობის თბილისის სახელმწიფო დრამატული თეატრის მსახიობს.
3. **გეგეჭკორს** გიორგი ვლადიმერის-ძეს — შ. რუსთაველის სახელობის თბილისის სახელმწიფო დრამატული თეატრის მსახიობს.
4. **გოკიელს** ივანე რაფიელის-ძეს — კომპოზიტორს.
5. **გომიაშვილს** არჩილ მიხეილის-ძეს — ა. გრიბოედოვის სახელობის თბილისის სახელმწიფო დრამატული თეატრის მსახიობს.
6. **ესაკიას** ლევან დიმიტრის-ძეს — კინორეჟისორს.
7. **თარხნიშვილს** თამარ არჩილის ასულს — შ. რუსთაველის სახელობის თბილისის სახელმწიფო დრამატული თეატრის მსახიობს.
8. **თბილელს** მარინე სტანისლავის ასულს — კ. მარჯანიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო დრამატული თეატრის მსახიობს.
9. **მანაგაძეს** შოთა ილიას-ძეს — კინორეჟისორს.
10. **მირიანაშვილს** ალექსანდრე (სანდრო) პეტრეს-ძეს — კომპოზიტორს.
11. **სალარიძეს** ვახტანგ დავითის-ძეს — გ. აბაშიძის სახელობის მუსიკალური კომედიის სახელმწიფო თეატრის მსახიობს.
12. **ტრიპოლსკის** იაკობ გლადიმერის-ძეს — კ. მარჯანიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო დრამატული თეატრის მსახიობს.
13. **ჩხეიძეს** რევაზ დავითის-ძეს — კინორეჟისორს.

საქართველოს სსრ სახალხო მხატვრისა:

1. **ვეფხვაძეს** ივანე ალექსის-ძეს — ფერწერს.

საქართველოს სსრ ხელოვნების დამსახურებული მოღვაწისა:

1. **აზმაიფარაშვილს** გივი ვასილის-ძეს — ზ. ფალიაშვილის სახელობის თბილისის ოპერისა და ბალეტის სახელმწიფო აკადემიური თეატრის დირიჟორს.
2. **ამაშუკელს** ვასილ იაკობის-ძეს — კინოოპერატორს.
3. **ბადრაძეს** კონსტანტინე გიორგის-ძეს — შ. რუსთაველის სახელობის საქართველოს სახელმწიფო თეატრალური ინსტიტუტის უფროს მასწავლებელს.
4. **ბაკრაძეს** გურამ სერგის-ძეს — საქართველოს სახელმწიფო კაპელის მხატვრულ ხელმძღვანელს.
5. **ბუხრიკიძეს** გივი ესტატეს-ძეს — ზ. ფალიაშვილის სახელობის თბილისის ოპერისა და ბალეტის სახელმწიფო აკადემიური თეატრის მთავარ ხორმეისტერს.
6. **გოგოძეს** კარლო იოსების-ძეს — კინოდრამატურგს.
7. **გოდერძიშვილს** ანა ანტონის ასულს — თბილისის აბრეშუმის საქსოვი ფაბრიკის მხატვარს.
8. **გორდელს** ოთარ მიხეილის-ძეს — კომპოზიტორს.
9. **დაფქვიაშვილს** თამარ ვლადიმერის ასულს — გ. სარაჯიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო კონსერვატორიის დოცენტს.
10. **დეკანოსიძეს** ოთარ ქაიხოსროს-ძეს — კინოოპერატორს.
11. **დუდუჩავას** მამია იოსების-ძეს — ხელოვნებათმცოდნეს.
12. **ვარნაძეს** სიმონ გიორგის-ძეს — კ. ხეთაგუროვის სახელობის ცხინვალის სახელმწიფო დრამატული თეატრის მთავარ რეჟისორს.
13. **იაშვილს** ლილი მიხეილის ასულს — კომპოზიტორს.
14. **კაკულიას** ფური სიმონის-ძეს — კ. მარჯანიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო დრამატული თეატრის რეჟისორს.
15. **კალატოზიშვილს** გიორგი მიხეილის-ძეს — კინოოპერატორს.
16. **კარსანიძეს** ვლადიმერ დავითის-ძეს — კინოდრამატურგს.
17. **კვასხვაძეს** შალვა ყარამანის-ძეს — ხელოვნებათმცოდნეს.
18. **კვერნაძეს** ალექსანდრე ალექსანდრეს-ძეს — კომპოზიტორს.
19. **კიკნაძეს** ალექსანდრე ეკვთიმეს-ძეს — შ. რუსთაველის სახელობის საქართველოს სახელმწიფო თეატრალური ინსტიტუტის სასწავლო ნაწილის გამგეს.
20. **კრეპსს** ბორის მიხეილის-ძეს — კინოოპერატორს.

(დასასრული მე-3 გვერდზე)

„საწარმოო კოლექტივების როლის ამაღლებასთან ერთად თვითეულ მუშაკს უნდა ჩავუნერგოთ კომუნისტური დამოკიდებულება შრომისადმი“.

სკკპ XXIII ყრილობის დირექტივების პროექტიდან.

ᲙᲝᲛᲣᲜᲘᲡᲢᲘᲡ ᲤᲘᲥᲠᲘ, ᲛᲐᲓᲚᲝᲑᲐ

ᲠᲔᲓᲐᲥᲪᲘᲘᲡᲐᲓᲛᲘ ᲒᲐᲛᲝᲒᲖᲐᲕᲜᲘᲚᲘ ᲬᲘᲠᲘᲚᲨᲘ — „ᲙᲝᲛᲣᲜᲘᲡᲢᲘᲡ“ ᲠᲔᲓᲐᲥᲪᲘᲘᲡᲐᲓᲛᲘ ᲒᲐᲛᲝᲒᲖᲐᲕᲜᲘᲚᲘ ᲬᲘᲠᲘᲚᲘ — „თქვენ გილოცავენ მოსკოველები“ — მზატვარი ქალი ᲗᲐᲚᲚᲘᲜᲘᲜᲐ ᲑᲠᲐᲘᲪᲔᲕᲡᲙᲐᲘᲐ წერს:

„ყველა საბჭოთა ადამიანი უდიდესი სიხარულით შეხვდა კეთილ ცნობას საქართველოს ლენინის ორდენით დაჯილდოების შესახებ. გაზეთებს გკითხულობთ თუ რადიოს ვუსმენთ, ჩვენ ყველანი ვვეცნობით სოციალისტური საქართველოს შესანიშნავ შრომითს წარმატებებს, რომლებსაც უკანასკნელ წლებში მიაღწია ქართველმა ხალხმა.

ათეულ მილიონობით ტელემაყურებელმა უდიდესი ყურადღებით ნახა თბილისიდან პირდაპირი გადაცემა იმ მიტინგისა, რომელიც საქართველოს რესპუბლიკის ლენინის ორდენით დაჯილდოებას მიეძღვნა; მილიონობით ტელემაყურებელმა თითქოს იმოგზაურა მზიურ რესპუბლიკაში, ნახა მეტალურგები, მეჩაიეები, ციტრუსების პლანტაციები და ვენახები, შავი ზღვის სანაპიროები, გაეცნო საქართველოს მიღწევებს...

შესანიშნავად, კარგად იშრომეთ გასულ წელს ძვირფასო ამხანაგებო!

მოსკოველები სულით და გულით გილოცავენ თქვენ ლენინის ორდენით დაჯილდოებას, ახალი ხუთწლედის პირველ წელს, დიდი იმედებისა და კეთილშობილური მიზნების დაგვირგვინების წელს“.

ეს წერილი ერთადერთი როდია, მოლოცვები მოდიოდა ყოველდღიურად. მეგობრები გვილოცავდნენ სოფიიდან, ალეპრიდან, ერევნიდან... აგრეთვე ჩვენი რესპუბლიკის ქალაქებიდან, რაიონებიდან, სოფლებიდან. გულთბილი მოლოცვების გამოსახატავად კალამს ხელი მოჰკიდეს გამორჩენილმა საზოგადო მოღვაწეებმა, უბრალო რიგითმა ადამიანებმა, დოვლათისა და ბარაქის შემქმნელებმა, წარმოების ნოვატორებმა.

სარედაქციო ფოსტა უხვი გახდა. ყოველდღიურად იგი იზრდებოდა როგორც თოვლის გუნდა, მაგრამ იმ განსხვავებით, რომ თოვლი ცივია, ეს მოლოცვები კი თბილი, მხურვალე, მადლობის გრძნობით აღსავსე დღეში ორასი, სამასი, ოთხასი, ხუთასი წერილი და დეპეშა! — აი როგორი იყო „კომუნისტის“ ყოველდღიური ფოსტა ინვაზრში. სულ ერთი თვის მანძილზე შეგროვდა 10.336 წერილი-მოლოცვა.

ამ ბარათებს, დეპეშებსა და წერილებს თითქოს ადამიანური გული უცემთ. ყველა მათგანი იწყება ფრთიანი სიტყვით „შოგილოცავთ!“ მოლოცვების ეს ნაკადი მთელი სიმფონიური პოემაა! იგი პაეროვანია, როგორც სასიამოვნო ქროლვა ხალხის სუნთქვისა. ძნელია ყველას გამოქვეყნება. დასახელება, ჩამოთვლა.

ნიკოლოზ ტიხონოვი (ᲥᲐ მოსკოვი): საქართველოში მე მხოლოდ მეგობრები მყავს. ამიტომ როცა თქვენ სიხარული გაქვთ და ზეიმობთ, ეს სიხარული და ზეიმი თანაბრად ახარებს ჩემს გულსაც. დღესაც ჩვენ ერთად ვამაყობთ ამ საპატიო ჯილდოს გამო. გულრწყალ შრომობთ, სასახელოდ იმკით და აპა ღირსეული შეფასება სახალხო საქმისადმი თავდადების ნაყოფისა. ძმური გულით შოგესალმებით და მოგილოცავთ, საყვარელო მეგობრებო!

მ. კაჩანოვი (ᲑᲣᲚᲒᲐᲠᲘᲗᲘᲡ ᲡᲝᲤᲚᲘᲡ ᲛᲔᲣᲠᲜᲔᲝᲑᲘᲡ ᲬᲐᲠᲛᲝᲔᲑᲘᲡ ᲛᲘᲜᲘᲡᲢᲠᲘ): გულითადად მოგილოცავთ ახალი 1966 წლის დადგომას, რაც ლენინის ორდენის მიღებით აღინიშნა მზიურ საქართველოში. გისურვებთ ამ წელსაც იმუშაოთ შეუპოვრად თქვენი ქვეყანა სოფლის მეურნეობის შემდგომი აყვავებისათვის.

ასეთია მეგობრების გულის ხმა, კეთილი სურვილები საბჭოთა ქვეყნიდან და უცხოეთიდან. ამ ხმებსა და სურვილებში არის ჩინებული წერილები თვით საქართველოს სხვადასხვა კუთხიდან. მაგრამ უფრო დიდებულია ამ ხელნაწერთა ავტორების აზრი.

ერთი წუთით გადავწიოთ მოლოცვების ოქროს ფარდა, და ჩვენს თვალწინ გაიშრიალებს საქართველოს დროშა, რომელსაც ორი ლენინის ორდენი ამშვენებს. ეს დროშა დაკნაინის ბარაქიან ველმინდვრებს, ბაღ-ვენახებს, ციტრუსოვანთა ბაღნარებს, სადაც იკრიფება მილიარდზე მეტი ცალი „ოქროს ნაყოფი“ — ლიმონი, მანდარინი, ფორთოხალი; ეს დროშა ფრიალებს ინტერნაციონალური ქალაქის — თბილისის თავზე, რომელსაც უკვე საკუთარი მეტროპოლიტენიც აქვს.

— ამბობენ, გულს შეუძლია მწუხარება ხმაამოუღებლივ ატაროს, სიხარულს კი ხმაამოუღებლივ ვერ აიტანსო, — სწერს „კომუნისტის“ რედაქციას ტყიბულის რაიონის სოფელ სოჩხეთის კოლმეურნეობის მეჩაიეთა რგოლის ხელმძღვანელი ნადია ცხობილაძე. — და მეც ხმამაღლა ვულოცავ საქართველოს ყველა მეჩაიეს ჩვენი რესპუბლიკის მეორე ლენინის ორდენით დაჯილდოებას. ეს ჯილდო ყველაფერია: დაფასება, მოგალობა, პასუხისმგებლობა. გიყოთ მეგობრებო, ამ ჯილდოს ღირსი!

— „კომუნისტის“ რედაქციას ვთხოვთ საქართველოს ყველა კუთხის ხმას შეუერთოს რაჭის ლამაზი ბუნებისა და კეთილი ხალხის ხმა, — ნათქვამია ონის საქალაქო საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარის შ. ლობჟანიძის წერილში. — ზეიმობს ყველა ოჯახი — მუშა, კოლმეურნე, ინტელიგენტი... დიდება სამშობლოს, დიდება პარტიას, დიდება ქართველ ხალხს!

— ეს ჯილდო—ლენინის ორდენი მარად იბრწყინებს, როგორც მზე საქართველოს ლამაზ ცაზე; ეს ორდენი საქართველოს შშვენებაა; დამსახურებული ჯილდო საქართველოს სინდისია; სადაც მაღალი ჯილდოა, იქ მადალი მოგალობაც არის — ასეთი აზრია გატარებული მილოცვებში, რომლებიც მშრომელებმა „კომუნისტს“ გამოუგზავნეს რეაქუბლიკის ყველა კუთხიდან. მოლოცვებს გზავნიან Შ. ᲧᲐᲤᲐᲮᲘᲫᲔᲚᲘ, Ვ. ᲓᲐᲗᲘᲐᲨᲕᲘᲚᲘ, Ი. ᲘᲝᲡᲔᲑᲐᲫᲔᲚᲘ, Გ. ᲛᲐᲨᲘᲐᲜᲐᲫᲔᲚᲘ, Მ. ᲩᲘᲠᲘᲚᲘᲫᲔ, ᲗᲘᲛᲣᲠ ᲩᲘᲠᲘᲚᲘᲫᲔ, ᲒᲘᲠᲘᲚᲐᲜᲘᲐᲜᲘ (ᲗᲔᲚᲐᲕᲘ), Გ. ᲠᲣᲮᲐᲫᲔ, Ლ. ᲭᲐᲜᲘᲨᲕᲘᲚᲘ (ᲥᲣᲗᲐᲘᲡᲘ), ᲓᲐᲕᲘᲓ ᲛᲔᲢᲠᲘᲫᲔ (ᲭᲘᲗᲣᲠᲐ), Ვ. ᲑᲐᲮᲐᲠᲘᲐ (ᲩᲮᲝᲠᲬᲧᲣ), ᲨᲐᲠᲚᲘᲞᲘ ᲩᲘᲠᲘᲚᲘᲫᲔ (ᲥᲣᲗᲐᲘᲡᲘ), ᲒᲘᲠᲘᲚᲐᲜᲘᲐᲜᲘ (ᲗᲔᲚᲐᲕᲘ), Გ. ᲠᲣᲮᲐᲫᲔ, Ლ. ᲭᲐᲜᲘᲨᲕᲘᲚᲘ (ᲥᲣᲗᲐᲘᲡᲘ), ᲓᲐᲕᲘᲓ ᲛᲔᲢᲠᲘᲫᲔ (ᲭᲘᲗᲣᲠᲐ), Ვ. ᲑᲐᲮᲐᲠᲘᲐ (ᲩᲮᲝᲠᲬᲧᲣ), Მ. ᲩᲘᲠᲘᲚᲘᲫᲔ (ᲚᲐᲜᲩᲮᲣᲗᲘ), Რ. ᲓᲐᲛᲑᲐᲫᲔ (ᲩᲘᲗᲐᲠᲐ), ᲨᲐᲠᲚᲘᲞᲘ ᲩᲘᲠᲘᲚᲘᲫᲔ (ᲩᲮᲝᲠᲬᲧᲣ), ᲓᲐᲕᲘᲓ ᲛᲔᲢᲠᲘᲫᲔ (ᲭᲘᲗᲣᲠᲐ), Ვ. ᲑᲐᲮᲐᲠᲘᲐ (ᲩᲮᲝᲠᲬᲧᲣ), ᲨᲐᲠᲚᲘᲞᲘ ᲩᲘᲠᲘᲚᲘᲫᲔ (ᲥᲣᲗᲐᲘᲡᲘ), ᲓᲐᲕᲘᲓ ᲛᲔᲢᲠᲘᲫᲔ (ᲭᲘᲗᲣᲠᲐ), Ვ. ᲑᲐᲮᲐᲠᲘᲐ (ᲩᲮᲝᲠᲬᲧᲣ), Მ. ᲩᲘᲠᲘᲚᲘᲫᲔ (ᲚᲐᲜᲩᲮᲣᲗᲘ), Რ. ᲓᲐᲛᲑᲐᲫᲔ (ᲩᲘᲗᲐᲠᲐ), ᲨᲐᲠᲚᲘᲞᲘ ᲩᲘᲠᲘᲚᲘᲫᲔ (ᲩᲮᲝᲠᲬᲧᲣ), Შ. ᲧᲐᲤᲐᲮᲘᲫᲔᲚᲘ, Შ. ᲩᲘᲠᲘᲚᲘᲫᲔ (ᲩᲮᲝᲠᲬᲧᲣ), ᲨᲐᲠᲚᲘᲞᲘ ᲩᲘᲠᲘᲚᲘᲫᲔ (ᲥᲣᲗᲐᲘᲡᲘ), ᲓᲐᲕᲘᲓ ᲛᲔᲢᲠᲘᲫᲔ (ᲭᲘᲗᲣᲠᲐ), ᲨᲐᲠᲚᲘᲞᲘ ᲩᲘᲠᲘᲚᲘᲫᲔ (ᲩᲮᲝᲠᲬᲧᲣ), Შ. ᲧᲐᲤᲐᲮᲘᲫᲔᲚᲘ

სსრ კავშირის საგარეო საქმეთა სამინისტროში

15 თებერვალს სსრ კავშირის საგარეო საქმეთა სამინისტროში დიდი ბრიტანეთის მოსკოვის საელჩოს მრჩეველ დესპან ტ. ბრიმელოუს ინგლისის მთავრობისაგან წარსადგენად გადასცეს ლაოსის შესახებ ჟენევის 1961-1962 წლების თანათავმჯდომარეთა იმ ერთობლივი წერილის საბჭოთა პროექტი, რომელიც ამ თვის მონაწილე ქვეყნებს უნდა გაეგზავნოთ.

წერილის პროექტში, კერძოდ, ნამოყენებულია წინადადება, რომ თანათავმჯდომარეებმა ლაოსის შესახებ ჟენევის თანხმობის მონაწილე ქვეყნების აუცილებლად მიაყრონ იმას, რომ ლაოსის სამეთვალყურეო და საკონტროლო საერთაშორისო კომისია ყოველთვის როდი მოქმედებს ჟენევის შეთანხმების დებულებათა შესაბამისად, რომ იყო შემთხვევები, როცა კომისიის მოხსენებებს ადგენდნენ ტენდენციურად და იღებდნენ პოლონეთის წარმომადგენლის დაუკითხავად. ლაოსის ეროვნულ საერთაშორისო კომისია თავის ფუნქციებს ეფექტიანად ისე უნდა ასრულებდეს, რომ ზუსტად შეეხებოდეს ჟენევის 1962 წლის შეთანხმებებს ლაოსის შესახებ და ლაოსის სამეფო კოალიციურ მთავრობასა და ორ ს

ახალი ამბები • ცნობები • ფაქტები • ქრონიკა

„კომუნისტის“ მკითხველები, კორესპონდენტები მეატყობინებენ



სიახლენი

△ **გეგეჭკორი.** (საკ. კორ.). ამიერკავკასიის რკინიგზის სამტრედიის განყოფილებამ დაბა გეგეჭკორში გახსნა სადგურ აბაშის ფილიალი — გეგეჭკორის ქალაქის სადგური.

აქ ბილეთები იყიდება იმ მატარებლებზე, რომლებიც სადგურ აბაშაში ჩერდება.

△ **საქვაბრობის ცხაკაიას განყოფილებამ ქალაქში გახსნა ნახევარფაბრიკატების საამქრო და მაღაზია. იგი ამარაგებს სადილლობებს, აგრეთვე ემსახურება მოსახლეობას.**

ს. კუჭავა.

△ **თერჯოლის** რაიონის სოფელ ნახშირღელეში ახლახან გაიხსნა ახალი საფოსტო განყოფილება. გარდა ნახშირღელისა იგი მომსახურებას უწევს სოფელ ნავენახების მცხოვრებლებს.

ვ. კუტალაძე.

△ **ზუგდიდი.** (საკ. კორ.). საყოფაცხოვრებო მომსახურების სამმართველომ ქალაქ ზუგდიდში ოქტომბრის ქუჩაზე გახსნა მამაკაცთა, ქალთა და ბავშვთა ფეხსაცმლის ინდივიდუალური შეკერვის ატელიე.

△ **რუსთავი.** (საკ. კორ.). **ქალაქის ახალმშენებლობის რაიონში ამ დღეებში გაიხსნა ახალი უნივერსალური მაღაზია. შენობის პირველ სართულზე მოთავსებულია სასურსათო პროდუქტების განყოფილება, ხოლო მეორეზე — სამრეწველო საქონლისა.**

პირველ დღეს მაღაზიამ 30.000 მანეთის საქონელი მიჰყიდა მომხმარებლებს.

14.000 მანეთი — ოჯახს

გურჯაანი. (საკ. კორ.). ველისციხის კოლმეურნეობა „ლენინის ანდერძმა“, რომელსაც საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატი დ. მამისაშვილი ხელმძღვანელობს, შვიდწლედის უკანასკნელ წელს მთელს ჩვენს რესპუბლიკაში ყურძნის მოსავლიანობის „რეკორდი“ დაამყარა. 460 ჰექტარი მოსავლიანი ვენახის საშუალოდ ჰექტარზე 105 ცენტნერი ყურძენი მოიყვანა. გეგმა კი 61 ცენტნერს ითვალისწინებდა. სახელმწიფოს 4.813 ტონა ყურძენი მიჰყიდეს. კოლმეურნეობის სალარომ მევენახეობიდან 2.043.106 მანეთი შემოსავალი მიიღო.

კაცდღის ღირებულებამ 8 მანეთსა და 58 კაპიკს მიაღწია. მეძროხეობის ფერმაში მომუშავე ი. აბულაძის ოჯახმა 14.008 მანეთი ფული მიიღო, კოლმეურნე ბ. დათუაშვილის ოჯახმა — 4.946 მანეთი, ვ. ნესუაშვილის — 4.061 მანეთი, ა. სესიაშვილის — 4.936 მანეთი, თ. კობერიძის ოჯახმა — 4.277 მანეთი.

ქართული კულტურის სალამო

მოსკოვი, 28 თებერვალი. (საქდესის კორ.). მოსკოვში გაიმართა ქართული კულტურის სალამო, რომელიც მიეძღვნა საბჭოთა საქართველოს 45-ე წლისთავს. სალამო გახსნა დრამატურგმა გ. მდივანმა.

სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოსთან არსებული საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს მუდმივი წარმომადგენლის მოადგილემ ლ. თოხაძემ ილაპარაკა საქართველოს მიღწევებზე სამეურნეო და კულტურულ მშენებლობაში.

სალამოზე სიტყვები წარმოთქვეს სახელმწიფო პრემიის ლაურეატმა მწერალმა ა. ანტონოვსკაიამ, საქართველოს მწერალთა კავშირის მდივანმა ბ. ძღუნიამ, პოეტებმა ბ. ჩორნიმ და მ. ქვლივიძემ.

დასასრულ გაიმართა კონცერტი, რომელშიც მონაწილეობდნენ მოსკოვის კონსერვატორიის სტუდენტი, მარგარიტა ლონგისა და ჟაკ ტიბოს სახელობის მეკვიოლინეთა საერთაშორისო კონკურსის ლაურეატი ლიანა ისპაკაძე, კავკასიური ცეკვების ანსამბლი „კოლხეთი“ მოსკოვის მხატვრული თვითმოქმედების ხელმძღვანელობით, მოსკოვის მე-2 საათის ქარხნის კლუბის თვითმოქმედი კოლექტივი.

საღამოზე აჩვენეს ქართველ დოკუმენტალისტთა ფილმები „პარიზი, პარიზი“... „კავკასიის მთებში“ და „ბერართა სამყაროში დაბრუნება“.

საგზურები ავტომშენებლებს

ქუთაისი. (საკ. კორ.). ს. ორჯონიკიძის სახელობის საავტომობილო ქარხნის ასობით მუშამ, მოსამსახურემ და სპეციალისტმა შარშან კეთილი შემეულება ჩვენი ქვეყნის საუკეთესო კურორტებზე გაატარა. მიმდინარე წელს გაცილებით მეტი ავტომშენებელი მიიღებს სანატორიუმებისა და დასასვენებელი სახლების საგზურებს.

ამჟამად პიატიგორსკში ისვენებს და მკურნალობს № 2 სამსხმელო საამქროს ინჟინერი ე. ხერხაძე, იალტაში — ამავე საამქროს მუშა ი. ივანოვი, გუდაუთში — მთავარი კონვეიერის ამწყობ-ზეინკალი რ. ქურასაშვილი, გაგრაში — სამჭედლო საამქროს ოსტატი შ. სიხარულიძე და სხვ.

ეს — გაზაფხული მოდის სიცილით,
ალუბლისა და ატმის ფიფქებით,
თოვლის კი არა, ალუბლის ფიფქებს,
ატმის ყვავილებს მოაქვთ ფიქრები,

თოვლის ფიფქებად მიმოფანტულებს
და გაფრენილებს წითელ ფერებით.
ჩვენი სალამი ამ გაზაფხულებს
და ნათელ დღეებს ბედნიერების.

ევგენი გარსაია.

ფოტო აკადემიკოს **ნიკო კეცხოველისა.** 28. 2. 66 წ.

მეცნიერთა თანამეგობრობა

ბაკურიანი, 28 თებერვალი (საქდესის სპეც. კორ.). აქ მუშაობა დაიწყო სრულიად საკავშირო ზამთრის ეკონომიურ-მათემატიკურმა სკოლამ. იგი მოაწყვეს სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის ცენტრალურმა ეკონომიკა-მათემატიკის ინსტიტუტმა და საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის გამოთვლითმა ცენტრმა.

სკოლის მეცადინეობაში მონაწილეობს 60 მეცნიერი, რომლებიც ეკონომიკისა და მათემატიკის სხვადასხვა დარგში მუშაობენ: მოსკოველი, ნოვოსიბირსკელი, რიგელი და თბილისელი სპეციალისტები შეიკრიბნენ იმისათვის, რომ განიხილონ მათემატიკური დაპროგრამების, სოციალისტური ეკონომიკის ოპტიმალური დაგეგმვისა და მართვის პრობლემები, ეკონომიური მოდელების მათემატიკური ანალიზის მეთოდები.

აქტუალური ეკონომიკურ-მათემატიკური პრობლემების განხილვაში მონაწილეობას მიიღებენ აკადემიკოსი ნ. პ. ფედორენკო, პროფესორები ე. ფ. მიშჩენკო, ი. ვ. პოხოროვი, დ. ბ. იუდინი, ლ. ი. ბერი, ვ. ს. მიხალევიჩი, ა. გ. აგანბეგიანი.

პირველი ზამთრის ეკონომიურ - მათემატიკური სკოლა 13 მარტამდე იმუშავებს.

ჩაროვანი ალექსი

ამას წინათ საშენ მასალათა მრეწველობის სამინისტროს ცხაკაიას კომბინატის კირის კარიერის მუშა შალვა გალდავა გამოქვაბულში წააწყდა უძველესი ხანის ქვის ნაჯახს და ეკრამიკის ნიმუშებს. ამის შესახებ აცნობეს საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ი. ჯავახიშვილის სახელობის ისტორიის, არქეოლოგიისა და ეთნოგრაფიის ინსტიტუტს.

ცხაკაიაში ჩამოვიდნენ ინსტიტუტის მუშაკები — პროფესორი ა. აფაქიძე, ისტორიულ მეცნიერებათა კანდიდატები ა. კალანდაძე, გ. გომეჯიშვილი, გ. ვრიგოლია.

ექსპედიციის მონაწილეებმა დაათვალიერეს აღმოჩენილი ნივთები, აგრეთვე კირის კარიერში მიკვლეული გამოქვაბულები, შეხვდნენ ადგილობრივ მკვიდრ ღრმა მოხუცებს და სხვ.

ექსპედიციამ კირის კარიერის ზედაპირული დაზვერვის დროს აღმოაჩინა აგრეთვე ანტიკური ხანის კერამიკის ნიმუშები.

პროფესორმა ა. აფაქიძემ ნაპოვნი ნივთების შესახებ ასეთი განმარტება მოგვცა: ქვის ნაჯახი განეკუთვნება ქვის ხანის დასასრულს, ხოლო კაჟის შუბი 50-70 ათასი წლის წინა პერიოდს. გამოქვაბულს სპეციალისტები დეტალურად შეისწავლიან. გარდა ამისა, წელს დიდი საძიებო სამუშაოები მოეწყობა ნაქალაქევში, ისლაში და სხვა ადგილებში.

ჟ. წინლვავა.

„ კომუნისტის“ პოლემიკა

მატჩი ფრედ დამთავრდა

სანტიაგო, 28 თებერვალი. (საქდესი). სსრ კავშირის ფეხბურთელთა ნაკრებმა გუნდმა რამდენიმე დღის წინათ ინგლისშით 2:0 დაამარცხა ჩილის ეროვნული გუნდი, ხოლო 26 თებერვალს თავისი მეორე მატჩი ამ ქვეყანაში დაამთავრა ფრედ — 1:1, ამჯერად ქალაქ კონსეპსიონში ადგილობრივ კლუბთან, რომელიც ჩილის მეორე ლიგაში თამაშობს. ბურთი მასპინძლების კარში პირველი ტაიმის მესამე წუთზე გაიტანა სერებრიანიკოვმა.

ფინიში დავოსში

დავოსი დამთავრდა ზსოფლიო ჩემპიონატი ფიგურულ ციგურაობაში, ანუ როგორც მას უწოდეს — „ლამაზი ყინულის კვირეული“.

გასულ კვირადღეს ნებისმიერი პროგრამით პაექრობა ჰქონდათ ქალებს. მსოფლიოს ჩემპიონი კანადელი პეტრა ბურკა მესამე ადგილზე აღმოჩნდა. ოქროს მედლის მფლობელი გახდა ამერიკის შეერთებული შტატების მოციგურავე პეგი ფლემინნი. ვერცხლის მედალი მოიპოვა გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის წარმომადგენელმა ბ. ზეიფერტმა.

ცეკვებში ყველაზე უკეთესი იყო ინგლისელთა წყვილი — დენნა ბაულერი და ბერნარდ ფორდი.

გამარჯვება ყველა თანრიგში

საბჭოთა ჩოგბურთელების ხუთივე თანრიგში გამარჯვებით დამთავრდა ტრადიციული საერთაშორისო შეჯიბრება მოსკოვში.

ქალებში დაუმარცხებლად დამთავრა შეჯიბრება კიეველმა ბ. ბაკშევამ. სსრ კავშირის ჩემპიონ ტ. ლეიუსთან (ტალინი) ერთად, მან გაიმარჯვა შერეულ წყვილთა თანრიგშიც. ჩვენი ქვეყნის ორი პირველი ჩოგბურთელის — ტ. ლეიუსისა და ა. მეტრეველის ლამაზი ორთაბრძოლა დამთავრდა ა. მეტრეველის გამარჯვებით (7:9, 8:4, 6:3 და 6:1). თბილისელები ი. ანდროლოვა და ა. ივანოვა გამარჯვებული გამოვიდნენ ქალთა წყვილების ტურნირში, ვაჟთა წყვილების შეჯიბრებაში ტ. ლეიუსმა და ს. ლიხაჩოვმა დაამარცხეს ინგლისელები ბ. სტილუელი და კ. ვულდრიჯი. (საკდესი).

დარჩა ერთი ეტაპი

გუშინ „ბ“ კლასის კალათბურთელ ქალთა და ვაჟთა კოპიონატის მეორე წრის პირველი ეტაპის მატჩები. ცხადდება შესვენება, რის შემდეგ მეტოქეები კვლავ შეიკრიბებიან და გადამწყვეტი პაექრობა ექნებათ საპრიზო ადგილებისათვის.

უკანასკნელისწინა შეხვედრა საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტის ქალთა გუნდმა მოიგო სვერდლოვსკის „ურალმაშთან“ 45:38, თბილისის დინამოელებმა კი წააგეს მატჩი კაუნასის „ჟალგირისთან“ 55:58.

გუშინ შედგა უკანასკნელი ტურის მატჩები. თბილისის ჯგუფში საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტის გუნდმა დაამარცხა დონის როსტოვის „ბურევესტნიკი“ 73:64

უკანასკნელი აპორდი

გასულ კვირადღეს ჰოლმენკოლენში ამოიწურა მსოფლიო ჩემპიონატი სათხილამურო სპორტში.

უკანასკნელი დღის პროგრამაში იყო სათხილამურო ესტაფეტა 3×5 კილომეტრზე ქალთათვის და დიდი ტრამპლინიდან ხტომა. კვლავ გვასახელეს ჩვენმა ქალებმა — **კლავდია ბოიარსკიხმა, რიტა აჩკინამ და ალევტინა კოლჩინამ,** რომლებმაც დისტანცია გაიარეს 56 წუთსა და 4,2 წამში და მსოფლიოს ჩემპიონობა მოიპოვეს. მეორე საპრიზო ადგილი ნორვეგიელებს ხვდათ.

ტრამპლინიდან ხტომაში საპრიზო ადგილები თანმიმდევრულად გაინაწილეს ნორვეგიელმა, იაპონელმა და შვედმა მოთხილამურეებმა. საბჭოთა ტრამპლინიდან მხტომელებიდან ყველაზე უკეთესი იყო კ. ნაჭაძე, რომელმაც მეექვსე ადგილი დაიკავა.

„საქართველოს კომუნისტი“ № 2

გამოვიდა ჟურნალი „საქართველოს კომუნისტი“ № 2. ჟურნალში გამოქვეყნებულია: **„პროფკავშირების მუშაობა— ახალი ამოცანების დონეზე“** (მოწინავე); სტატიები: **გ. ძოწენიძე** — „საბჭოთა საქართველოს 45 წელი“; **ვ. კაჭარავა** — „ინტელიგენცია სტუდენტი ახალგაზრდობის კომუნისტურად აღზრდის სამსახურში“; **გ. ხუნწარია** — „მსოფლიო კაპიტალიზმის კრიზისი“; **გ. ყიფიანი** — „კომუნისტის მაღალი წოდება შთაგონების წყაროა“; **ლ. ხარბედია** — „მატერიალური სტიმულირების გაძლიერებით სრული რენტაბელობისაკენ“, **ს. თვალჭრელიძე** — „პარტიული ჯგუფის თოსნობით“. ნომერში არის აგრეთვე განყოფილებები: **„პასუხი შეკითხვაზე“; „მარქსიზმ-ლენინიზმის საფუძვლების სკოლის დასახმარებლად“; „საერთაშორისო ცხოვრება“, „კრიტიკა და ბიბლიოგრაფია“.**

„საქართველოს აგიტატორი“ № 4

გამოვიდა საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პროპაგანდისა და აგიტაციის განყოფილების ჟურნალ **„საქართველოს აგიტატორის“** მორიგი, მეოთხე ნომერი.

გაზეთ „კომუნისტის“ რედაქციას

ნებას გვიბოძეთ გაზეთ „კომუნისტის“ საშუალებით მადლობა გადავუხადოთ დაწესებულებებს, ორგანიზაციებს, მეგობრებსა და ამხანაგებს, რომლებმაც გაიზიარეს ჩვენი მწუხარება ჯაფარ აბაშიძის გარდაცვალების გამო.

ჟ. აბაშიძის ოჯახი.

ლოკომოტიველთა კარგი სტარტი

ფეხბურთელთა თბილისის ზამთრის ტურნირის გასული კვირადღის მატჩი „ბურევესტნიკის“ სტადიონზე დონის როსტოვის არმიის სასპორტო კლუბისა და თბილისის „ლოკომოტივის“ გუნდებს შორის მომზადებული გამოდგა.

ეს იყო დაახლოებით ორი თანაბარი სიძლიერის კოლექტივის პაექრობა და სრულებითაც არ იგრძნობოდა, რომ ისინი „ს“ კლასის სხვადასხვა ჯგუფის წარმომადგენლები იყვნენ.

პირველი ტაიმის შედეგი იყო 1:0 ლოკომოტიველთა სასარგებლოდ. ბურთი გაიტანა გუნდის კაპიტანმა ახალკაცმა. მეორე ნახევრის 81-ე წუთზე ესკოვმა წონასწორობა აღადგინა, მაგრამ 3 წუთის შემდეგ მუმლაძემ ეფექტური ბურთი გაიტანა. ლოკომოტიველებმა ტურნირის ერთ-ერთი პასუხსაგები მატჩი მოიგეს 2:1.

სკა — „შინიკი“

გუშინ თბილისის „ბურევესტნიკის“ **სტადიონზე შედგა ზამთრის ტურნირის მორიგი მატჩი ოდესის არმიის სასპორტო კლუბისა და იაროსლავლის „შინიკის“ გუნდებს შორის. შეხვედრის შედეგია ფრე — 0:0.**

ვადაადე — ფინალში

ჟელსინკი, 28 თებერვალი. (საკდესი). სსრ კავშირის ხელბურთელ ვაჟთა ნაკრები გუნდი გავიდა მსოფლიო ჩემპიონატის ფინალში. ჩვენმა სპორტსმენებმა ანგარიშით 24:15 (14:7) განმეორებით მატჩში დაამარცხეს ფინეთის გუნდი (ამ გუნდების პირველი შეხვედრა აგრეთვე ჩვენი ხელბურთელების სასარგებლოდ დამთავრდა).

დარჩენილი მატჩების მიუხედავად, ფინალისტები გახდნენ გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკისა (4 ქულა 4 შესაძლებელში) და სსრ კავშირის (4 ქულა 6 შესაძლებელში) ნაკრები გუნდები.

• სპორტი უცხოეთში •

მსაჯი... ნოკაუტში

ამჯერად ათამდე დამთვალელი აღარავინ იყო—ნოკაუტში რინგზე იწვა თვით... მსაჯი. ამას ხედავთ სურათზე, რომელიც ავსტრიულმა გაზეთმა „ფოლკსშტიმმა“ გამოაქვეყნა.

როგორც ახალი ამბების სააგენტო მოგვითხრობს, აი როგორ მომხდარა ყველაფერი:

მიმდინარეობდა მატჩი დასავლეთგერმახელ პროფესიონალულ მოკრივეს მილდენბერგერსა და მის ამერიკელ კოლეგა მახეს შორის. შეხვედრის ირგვლივ ატეხილი აჟიოტაჟი ძალიან დიდი იყო. ცამეტმა ათასმა მაყურებელმა აავსო მაინის ფრანკფურტის სპორტული დარბაზი. ჯერ კიდევ შეხვედრის დაწყებამდე მატჩის შედეგზე დაიდო უამრავი სანაძლეო დიდ თანხებზე. მთელი ძალით მუშაობდა ტოტალიზატორი.

და აი მოკრივეები რინგზე დგანან. შეხვედრის დაწყებისთანავე მაყურებელი-სათვის ცხადი გახდა, რომ არბიტრი ზეევალდი ყოველ-ნაირად უდგებოდა მილდენბერგერს. იგი სულ იმის ცდაში იყო, რომ როგორმე შეეჩერებინა მახენი იერიშის დროს.

ამერიკელს, როგორც ჩანს, ბოლოს და ბოლოს მოთმინების ფიალა აევსო. ყოველ შემთხვევაში, მან მეექვსე რაუნდში უძლიერესი დარტყმით იატაკზე დაანარცხა არა მოწინააღმდეგე, არამედ მსაჯი. გონს რომ მოვიდა, ზეევალდი შეეცადა წამომდგარიყო და ხელი სტაცა მახენს, მაგრამ განაწყენებულ მოკრივეს არც ახლა გამოუჩენია რაინდობა და უკუაგდო იგი; ამ უპრეცედენტო შემთხვევის მიუხედავად ბრძოლა მაინც არ შეწყვეტილა. მაყურებელს ხომ ფული ჰქონდა გადახდილი და მატჩის— ორგანიზატორები შემინდნენ, იგი უკან არ მოითხოვნონ. წარმოდგენა გაგრძელდა, მაგრამ მას უკვე სხვა არბიტრი მსაჯობდა.

ეს უმსგავსო მატჩი ბოლოს მაინც მილდენბერგერმა მოიგო. შეხვედრის შემდეგ ამერიკელმა განაცხადა: „მსაჯი აშკარად მოსყიდული იყო. მან სიფათში მიიღო იმიტომ, რომ ამ გარიგებაში მე გვერდი ამიარეს. ასე რომ, ჩვენ ორივენი დავზარალდით“.

ვითომ ასეა? ყველაზე მეტად დაზარალდა მაყურებელი, რომელსაც სპორტული სანახაობის ნაცვლად პროფესიული კრივის ბინძური კომედია უჩვენეს.

როცა საქმე უყვართ

მათზე ლაპარაკი ღირს

იქ, სადაც დღეს თბილისის ტყავსაგალანტერიო ფაბრიკაა, ომის დროს სასარაჯო-საუნაგირო საწარმო გახლდათ.

ქოხმახებში კუსტარული საამქროები იყო მოთავსებული. შენიღბული ფანჯრების მიღმა შრომობდნენ ადამიანები. გაწაფული ხელები სჭრიდნენ და კერავდნენ ტყავის სარჩულებს, რომ მერე კეხზე გადაეკრათ. ქალები ამაგრებდნენ პატარა ბბზინდებს და ეს „რიტუალი“ გრძელდებოდა დღისით და ღამით...

ოდითგანვე აკეთებდა ქართველი კაცი მოხდენილ უნაგირებს. უნაგირები ათასგვარი იყო — სირმით ამოქარგული, საფირონებით მოჭედილი, ირმისა და დათვის ტყავით გაწყობილი.

მერე როცა გადაიარა ომის ქარტეხილმა, ქოხმახების მაგივრად ორსართულიანი შენობები აშენდა და საწარმოს იარლიყი შეეცვალა — ტყავსაგალანტერიო ფაბრიკა.

თუმცა აქ არ მზადდება არც ელმავლები, არც რთული ელექტროხელსაწყოები და დანადგარები, მაგრამ ეს როდი ნიშნავს, რომ ფაბრიკის გამოშვებული პროდუქციიაზე არ ღირდეს ლაპარაკი. ამ პატარა, მრავალგვარი დანიშნულების ხელჩანთებს და ჩემოდნებს თავისი შეუცვლელი ადგილი უჭირავთ ჩვენს ყოველდღიურ ცხოვრებაში.

პირველად მხატვარი ვ. ბაქრაძე, მოდელიერები ა. გოშაძე, ლ. ლაკტიონოვა და სხვები ქაღალდზე ქმნიან ათასნაირ ჩანახატს, რომელთა ფერი და ფორმა შეესაბამება თანამედროვე მოთხოვნილებათა დონეს. შემდეგ სამხატვრო სახელოს მიერ მოწონებული მოდელები საამქროებში იწყებენ ახალ სიცოცხლეს.

ფაბრიკის პარტორგანიზაციის მდივანი ე. კელენჯერიძე და ექსპერიმენტული საამქროს უფროსი შ. გაბრიელაძე სიამოვნებით გვიამბობენ საწარმოს მოწინავე მუშებზე. ისინი ბევრნი არიან. ყველაზე ძნელია დაწერილებით ილაპარაკო. ერთი კია, კომუნისტური შრომის ბრიგადის ბრიგადირი მარო მამაჯანოვი, რომელიც 17 წელიწადია მუშაობს ფაბრიკაში, მუდამ გადაჭარბებით ასრულებს გეგმებს. ლილი ზუბიაშვილის გაწაფული ხელები აწებებენ ტყავის ნაჭრებს ჩემოდნისათვის. ამ გოგონას მომავალი წინ აქვს. მალე დაამთავრებს პოლიტექნიკური ინსტიტუტის სამშენებლო ფაკულტეტს, მაგრამ ცხოვრების გზაზე მუდამ გამოადგება ფაბრიკის კედლებში შეძენილი შრომის ჩვევა და სიყვარული. აქ დაოფასეს მისი ალალი გარჯა და საქალაქო სახელოს დეპუტატად აირჩიეს, ეს კი ბევრს ავალებს ლილი ზუბიაშვილს.

ჩემოდნების საამქროში თითქმის ყველა პროცესი მექანიზებულია. რეგვაზ მაჭავარიანისა და თენგიზ მიქაელიანცისათვის საკერავ მანქანებთან შრომის პროცესი მათი ცხოვრების განუყოფელი ნაწილი გახდა. კეთილსინდისიერად ასრულებენ თავიანთ გეგმებს. ცუდი როდია, და მერე, ვინ იცის, ჩვენი სამშობლოს გზებზე რამდენი ადამიანი დალოცავს მათს მარჯვენას და შეუქების ნახელავს. ჩემოდნების საამქრო გ. ტოგონიძის მტკიცე ხელს ამარია, და ამიტომ საათივით აწყობილი მუშაობს აქ ყველა და ყველაფერი.

პლასტიკატების საამქროში მაღალი სიხშირის დენით უქსოვადი ქსოვილის შედუღება ხდება. მიღებული მასალისაგან ბლოკნოტების ყდები მზადდება. იქნებ იფიქროთ, ბლოკნოტების ყდების გაკეთება ისეთი წვრილმანია, რომ ეს რა სალაპარაკოაო, მაგრამ ყდა თავის დანიშნულებას ასრულებს და ისიც მოითხოვს ფერის ზომიერ გამოყენებასა და გამძლეობას... ეს იციან ამ საამქროს მუშებმა, ერთი შეხედვით მოკრძალებული სამუშაოს ავტორებმა და შრომობენ ჩინებულად.

საწარმოში ვისაც უნდა ჰკითხოთ ალექსი წიკლაურის საქმიანობაზე, მხოლოდ ერთს გიპასუხებთ:

— რა იქნებოდა ხელჩანთის მოდელი თავისთავად, მას წიკლაურის ხელები რომ არ აძლევდნენ სასურველ ფორმას. რა ოსტატურად სჭრის ტყავს ეს დალოცვილი. წუნი რა'ა მიქვია. ალექსის თუ გააკეთა, მას შემოწმება აღარ სჭირდება...

— მიბაძეთ ალექსი წიკლაურს! — ამბობენ ფაბრიკაში.

აგვისტოში ფაბრიკას დაარსების 25 წელი შეუსრულდება. მთელი საწარმო ემზადება ღირსეული შრომითი საზეიმოთ შეხვდეს ამ თარიღს. წელს საწარმოს მიერ ახლად ათვისებული პორტფელისა და ჩემოდნის 28 მოდელი მალე გამოვა მაღაზიებში.

ნანა ჯაფარიძე.

• • •

სურათზე: (მარცხნიდან მარჯვნივ) ჩემოდნების საამქროს კომუნისტური ბრიგადის წევრი ლ. ზუბიაშვილი, მხატვარი-მოდელიერი ლ. ლაკტიონოვა, ფაბრიკის მთავარი მხატვარი ვ. ბაქრაძე და მოწინავე გამომშრელი ა. წიკლაური.

ფოტო ს. კილაძისა.

• **სტუმრად თბილისში** •

მასივში
— სწორედ იქიდან მოვდივართ,
სადაც ზეწარი ჰკიდია.
დიამახსოვრე, არქიფო,
თორემ თბილისი დიდია.

მეტროს სადგურთან
— ეს რა წარწერა გაუკრავთ,
მეტრო არის თუ ლიფტი?
— ვერ წაიკითხე, შე ქალო?
ეს ხომ ახალი შრიფტია!

გამოფენაზე
— ეს რასა ჰგავს... ვის დასჭირდა
უფრო კარგის გადაგდება?
— არა, კაცო, ამას ჰქვია
ახლებური ქანდაკება!

ცირკში
— ხელში ერთი მტრედი ჰყავდა,
ახლა ხედავ, ხუთს რომ აფრენს?
— ჩვენს ფირმაში წავიყვანოთ,
გაგვიმრავლებს ბლომად ქათმებს!

საათთან
— ვიჩქაროთ, შინ ხომ გვკითხავენ
ქალაქში თუ რა ნახეთო...
— მაგის ყურებას ის გიჯობს
აგერ ამ საათს დახედო!

ისევ მასივში
— თუ შვილს ვეღარ მივაგენით,
დაგვიდგება კაი დახლი...
— ზეწარი ქე ოფლიათ,
რომელია ჩვენი სახლი?!

• ტექსტი კ. გოგიაშვილისა. ნახატები ი. ქოქიაშვილისა.

ჩაკ ვცხოლოთ, ჩაკ ეოვისეილოთ

ტელევიზია

1 მარტი

11.00 — დოკუმენტური ფილმი, 12.00 — მხატვრული ფილმი „ქარიშხალი აზიაში“, 17.55 — გადაცემათა პროგრამა, 18.00 — თქვენთვის, პატარებო! — „ცეროდენას ეკრანი“, 18.20 — მოსწავლეთათვის — ვაჟა-ფშაველას მოთხრობები „ია“ და „ბუნების წიაღში“, 18.40 — კინონარკვევი, 19.00 — „სექტემბრის პლენუმის გადაწყვეტილებანი ცხოვრებაში“, 19.15 — კინონარკვევი, 19.25 — გადაცემა — „მიწისქვეშა სასახლის არქიტექტურა“, 19.45 — კინონარკვევი, 20.05 — გადაცემა — „200.000 ტონა ჩაისათვის“, 20.40 — კინონარკვევი, 21.00 — ლიტერატურული გადაცემა, 21.30 — ახალი ამბები (ქართულ და რუსულ ენებზე), 21.50 — მხატვრული ფილმი „ქარიშხალი აზიაში“, 23.25 — გადაცემათა პროგრამა 2 მარტისათვის, 23.30 — მსოფლიო პირველობა ციგურებით ფიგურულ სრიალში (გადმოცემა შვეიცარიიდან).

მეორე არხზე — 13.00-15.40 და 16.55-00.10 — ცენტრალური ტელევიზიის პროგრამა.

2 მარტი

17.55 — გადაცემათა პროგრამა, 18.00 — მოსწავლეთათვის — მხატვრული ფილმი „ჩემი უნივერსიტეტი“, 19.40 — კონცერტი, 20.00 — კინონარკვევი, 20.40 — ახალი ამბები (ქართულ და რუსულ ენებზე), 21.00 — კინონარკვევი, 21.25 — საერთაშორისო შეხვედრა ფეხბურთში — „ფერენცვაროში“-უნგრეთი — „ინტერნაციონალე“-იტალია (გადმოცემა ბუდაპეშტიდან).

მეორე არხზე — 12.00-14.00 და 16.00-00.20 — ცენტრალური ტელევიზიის პროგრამა.

„ბურევესტნიკის“ სტადიონი

ვაკე,
ი. ჭავჭავაძის პრ.
№ 74

1, 2, 3 მარტს

ფეხბურთი

საზამთრო ტურნირი. საქ. სსრ მინისტრთა საბჭოს თასის გათამაშებისა

1 მარტი **„ბატანი“ (ჩეხოსლოვაკია) — „ზენიტი“ (ლენინგრადი).** დასაწ. 16—00 ს.

2 მარტი **სკა (ოდესა) — სკა (როსტოვი).** დასაწ. 16—00 ს.

3 მარტი **„ლოკომოტივი“ (თბილისი) — „შინიკი“ (იაროსლავლი).** დასაწ. 16—00 ს.

„კომუნისტი“ | თბილისი, ლენინის 14. რედაქტორის მოადგილეების — 9-93-03, 9-03-09, პ/მგ მდივნის — 9-72-80, სამდივნოსი — 9-66-10, განყოფილებებისა: პარტიული — 9-87-61, პროპაგანდის — 8-22-93, მრეწველობის — 8-20-34, სოფლის მეურნეობის — 9-52-46, საბჭოთა მშენებლობის — 3-18-70, მეცნიერების, უმაღლესი სასწავლებლებისა და სკოლების — 8-27-58, ლიტერატურისა და ხელოვნების — 9-55-01, ინფორმაციის — 8-16-90. უცხოეთის — 8-15-63, წერილების — 9-73-24, ილუსტრაციის — 8-28 54, განცხადებების — 8-93-96.

ჩვენი მისამართი და ტელეფონები

КОМУНИСТИ ИНДЕКС 66443 УЭ-05865

საქ. კპ ცკ-ის გამომცემლობის პოლიგრაფკომბინატი, თბილისი, ლენინის ქ. № 14.

რედაქტორი დ. მჟელიშვილი.